

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე პ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

„---21---“-----11-----“ 2016 წელი

ეგზ. № 2

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N71/36

2016 წელი

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა	3
შესავალი ნაწილი.....	6
აუდიტის მიზანი	6
აუდიტის მასშტაბი.....	6
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	6
აუდიტის შესწავლის საგნის მოკლე აღწერა	7
დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა	8
შემოსულობები	8
გადასახდელები	9
ნაშთის ცვლილება	10
მიუღებელი შემოსავლები - გადაუხდელი იჯარები.....	10
დუშეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები	11
დუშეთის ხევის გამაგრების სამუშაოები	11
სოფელ ბაგასთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები	13
ახატანი-ბიწმენდის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	14
იოსელიანის ქუჩის რეაბილიტაცია.....	16
რაზიკაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია	18
დაბა ფასანაურში განხორციელებული ნაპირსამაგრი სამუშაოები	20
ზემო მღეთაში მდინარის გაწმენდისა და დაღრმავების სამუშაოები.....	21
დუშეთის სკვერის რეაბილიტაცია.....	21
ფაქტობრივი დანახარჯები	22
ოშპიტელის ხიდი	22
გამოუყენებელი სანქციები.....	23
დარიცხული პირგასამტეხლო	25
სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა	25
საპროექტო სამუშაოებისა და მათი ექსპერტიზის შესყიდვა	26
სამშენებლო სამუშაოების ექსპერტიზა.....	27
დაუფინანსებელი პროექტები	28
პროექტები, რომლითაც ვერ სარგებლობს მოსახლეობა.....	29
დამატებული ღირებულების გადასახადის ანაზღაურება შესყიდვების პროცესში	29
საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება	30
განთავისუფლებულ თანამშრომლებზე გადახდილი თანხები.....	30
სოციალური დახმარება.....	31

ინვენტარიზაცია	31
შიდა აუდიტის მიერ შესრულებული სამუშაოები	32
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	33
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	33

შემაჯამებელი მიმოხილვა

- ✓ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ საიჯარო ქირის სახით მიუღებელმა შემოსავლებმა 51.6 ათასი ლარი და 2.8 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. (გვ.11)
- ✓ 2013-2014 წლებში დუშეთის ხევის კალაპოტის გამაგრების სამუშაოებში მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია 869.4 ათასი ლარი, მშენებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებულია და გამოსულია მწყობრიდან. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, უხარისხო იყო აღნიშნული ხევის გამაგრების როგორც პროექტი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 21.4 ათასი ლარი, ასევე მიმწოდებლის მიერ შესრულებული ბეტონის სამუშაოები, რაშიც გადახდილია 323.7 ათასი ლარი. (გვ.11)
- ✓ დუშეთის ხევის კალაპოტის გამაგრების სამუშაოების უხარისხოდ შესრულების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, რის გამოც დაკარგა 88.5 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა. (გვ.13)
- ✓ 2015 წელს ახატანი-ბიწმენდის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიმწოდებელს სრულად არ შეუსრულებია დემონტირებული მასალის გატანის და გზის სავალი ნაწილის გვერდულების მოწყობის სამუშაო, რაშიც ჯამში გადახდილია 49.3 ათასი ლარი. (გვ.14)
- ✓ ახატანი-ბიწმენდის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის მიმწოდებელს უნდა დარიცხვოდა ჯარიმა 40.9 ათასი ლარის ოდენობით. (გვ.16)
- ✓ 2015 წელს შედგენილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ იოსელიანისა და რაზიკაშვილის ქუჩებზე შესრულებული სამუშაო იყო უხარისხო. მიუხედავად ამისა, გამგეობამ მაინც ჩაიბარა ობიექტები, სადაც ჯამში გადახდილია 387.2 ათასი ლარი. (გვ.16)
- ✓ იოსელიანის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მუნიციპალიტეტმა შემსრულებელს დაუსაბუთებლად გადაუწია მიწოდების ვადები რის შედეგადაც მას არ დაერიცხა ჯარიმა 20.5 ათასი ლარის ოდენობით, ასევე სამუშაოები ჩაბარდა 118 დღიანი დაგვიანებით და შემსრულებელს დამატებით უნდა დარიცხვოდა 14.0 ათასი ლარი. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ნაწილი გაკეთებულია უხარისხოდ, ექსპერტიზის აქტში დაფიქსირებული ხარვეზები შპს-ს აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში სრულად არ ქონდა გამოსწორებული, შესაბამისად მას ხარვეზების აღმოფხვრამდე 2015 წლის 13 აგვისტოდან დამატებით

უნდა დაერიცხოს ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 180 ლარის ოდენობით. (გვ.16)

- ✓ რაზიკაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მუნიციპალიტეტმა შემსრულებელს დაუსაბუთებლად გადაუწია მიწოდების ვადები რის შედეგადაც მას არ დაერიცხა ჯარიმა 22.8 ათასი ლარის ოდენობით. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, მიმწოდებელის მიერ შესრულებული სამუშაოების ნაწილი გაკეთებულია უხარისხოდ, ექსპერტიზის აქტში დაფიქსირებული ხარვეზები შემსრულებელს აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში სრულად არ ქონდა გამოსწორებული, შესაბამისად მას ხარვეზების აღმოფხვრამდე 2015 წლის პირველი სექტემბრიდან დამატებით უნდა დაერიცხოს ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 239 ლარის ოდენობით. მიუხედავად იმისა რომ მიმწოდებელმა სათანადოდ არ შეასრულა სამუშაოები მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ღირებულებით 12.0 ათასი ლარი. (გვ.18)
- ✓ 2014 წელს დაბა ფასანაურში ნაპირსამაგრ სამუშაოებზე მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ჯამში 367.3 ათასი ლარი, მიუხედავად იმისა, რომ მან უარი განაცხადა შესრულებული ბეტონის სამუშაოების ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენაზე. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის მიუხედავად გამგეობამ არ გამოიყენა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, რის შედეგადაც დაკარგა 38.0 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა. (გვ.20)
- ✓ 2014-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული 382 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულია 3533.1 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოები, რომელთა ღირებულების ანაზღაურება არ მომხდარა ფაქტობრივი დანახარჯების გათვალისწინებით. შედეგად, დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მოთხოვნები. (გვ.22)
- ✓ 2014 წლის 30 სექტემბერს სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მუნიციპალიტეტმა გააფორმა ორი ხელშეკრულება. სამუშაოების მიმდინარეობისას შემსრულებელს დაუსაბუთებლად გაეზარდა მიწოდების ვადა. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობა არ გადაწევდა ვადას, ფირმას დაეკისრებოდა პირგასამტეხლო 39.4 ათასი ლარის ოდენობით. (გვ.23)
- ✓ 2015 წელს ხევის კალაპოტის გაწმენდა-დაღრმავების, დამბური ტიპის მიწაყრილის, გაბიონებისა და ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოების, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევისთვის მიმწოდებელს უნდა დარიცხვოდა პირგასამტეხლო - 85.4 ათასი ლარის ოდენობით. (გვ.25)
- ✓ 2014 წელს მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებზე დარიცხულმა და ამოუღებელმა ჯარიმებმა 7.1 ათასი (სულ მისაღები ჯარიმის 50%), ხოლო 2015 წელს - 41.5 ათასი ლარი (სულ მისაღები ჯარიმის 89%) შეადგინა. (გვ.26)
- ✓ 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტს ყველა სამშენებლო სამუშაოზე შესყიდული აქვს შესაბამისი ტექნიკური ზედამხედველობა, რაშიც ჯამში გადახდილია 71.0 ათასი ლარი. არც ერთ შესწავლილ შემთხვევაში, ტექნიკურ ზედამხედველებს სრულად არ აქვთ შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მიუხედავად ამისა, მიმწოდებლებზე თანხები სრულად არის ანაზღაურებული. (გვ.26)

- ✓ 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენაში ჯამში გადახდილია 514.2 ათასი ლარი. შესყიდული პროექტების თითქმის ნახევარს ექსპერტიზა ჩაუტარა საპროექტო ფირმასთან დაკავშირებულმა მხარემ. (გვ.27)
- ✓ საკრებულოს არაანაზღაურებად დეპუტატებზე ხარჯების ანაზღაურების მიზნით 2014-2015 წლებში სულ გაცემულია 128.7 ათასი ლარი. მათ შორის, 2014 წელს - 48.9 ათასი, ხოლო 2015 წელს - 79.8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ 2014-2015 წლებში საკრებულოს ყველა არაანაზღაურებად დეპუტატს დამატებით 32.0 ათასი ლარი აქვს მიღებული სადღესასწაულო დღეებში, დახმარების სახით. (გვ.30)
- ✓ 2014-2015 წლებში სამსახურიდან განთავისუფლებულ პირებს სასამართლოს გადაწყვეტილებით, განაცდურისა და კომპენსაციის სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან აუნაზღაურდათ 69.7 ათასი ლარი. (გვ.31)
- ✓ 2014 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად მთლიანობაში გამოვლინდა 21.9 ათასი ლარის დანაკლისი, მათ შორის, 18.4 ათასი ლარი, შემოსავლების სამსახურის მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემული სხვადასხვა დასახელების ფასეულობებია. (გვ.32)

შესავალი ნაწილი

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება, მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების ეკონომიურობისა და მართლზომიერების შეფასება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება შემდეგი საკითხები:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა - საქმიანობის წარმართვისას, საჯარო რესურსების გამოყენებისას და ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მოქმედ საკანონმდებლო და სხვა აქტების მოთხოვნების დაუცველობა;
- არამართლზომიერი ხარჯვა - სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებების დაუცველობა;
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2014-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, აუდიტმა მოიცვა ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულება - ჯამში, 23 784.7 ათასი ლარის ოდენობით.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით იქნა გამოვლენილი განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2014-2015 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც

გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2014-2015 წლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

აუდიტის შესწავლის საგნის მოკლე აღწერა

დუშეთის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. იგი აერთიანებს ქალაქ დუშეთს, 2 დაბასა და 15 ტერიტორიულ ერთეულს. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოიცავს 2981.5 კვ.კმ-ს, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 25.4 ათასს¹, ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი დუშეთი.

დუშეთის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის², საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- o საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- o ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- o მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- o სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- o მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- o იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვ.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ის ახორციელებს ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სკოლამდელი განათლებისა და სხვა ღონისძიებებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტს დელეგირებული აქვს შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 9 ა(ა)იპ³, რომელთა დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია ასევე 12 შპს⁴, რომელთაგანაც მხოლოდ 5 არის მოქმედი, ხოლო დანარჩენი არ ფუნქციონირებს.

¹ <http://geostat.ge/>

² 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მოქმედებდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონი.

³ 2014 წელს ფუნქციონირებდა 8 ა(ა)იპ, 2015 წელს დაემატა ა(ა)იპ - კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა

დუშეთის მუნიციპალიტეტს თავის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების დამოუკიდებლად გაწევის შესაძლებლობით, რაც განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით.

ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებს, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ტრანსფერებსა და სხვა შემოსულობებს.

შემოსულობები

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, შემოსულობებმა სულ შეადგინა 24 760.7 ათასი ლარი.

წლების მიხედვით მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

2014-2015 წლების ბიუჯეტის შემოსულობები (ათასი ლარი)

დასახელება	2014 წელი	2015 წელი	სულ
შემოსულობები	12 918.9	11 841.8	24 760.7
შემოსავლები	12769.7	11 594.7	24 364.4
გადასახადები	2248	1 718.6	3 966.6
გრანტები	9791.9	9 120.7	18 912.6
სხვა შემოსავლები	729.8	755.4	1 485.2
არაფინანსური აქტივების კლება	149.2	247.1	396.3
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0.0	0.0	0.0
ვალდებულების ზრდა	0.0	0.0	0.0

2014-2015 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, შემოსავლების 78% გრანტებია, გადასახადის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 16%-ს, ხოლო დანარჩენი 6% უჭირავს სხვა შემოსავლებს.

2015 წელს გადასახადების მაჩვენებელი შემცირებულია 529.4 ათასი ლარით (24%-ით), რაც ძირითადად განაპირობა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იურიდიული პირებიდან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მისაღები შემოსავალის კლებამ. 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია „გრანტების“ მუხლიც, ხოლო სხვა შემოსავლების მაჩვენებელი არსებითად არ შეცვლილა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები წლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

2014-2015 წლებში მიღებული ტრანსფერები (ათასი ლარი)

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი	2014 წელი	2015 წელი	სულ
გათანაბრებითი ტრანსფერი	3220.2	3 645.0	6 865.2
მიზნობრივი ტრანსფერი	101.2	101.2	202.4
სპეციალური ტრანსფერი	6470.5	5 277.2	11 747.7
კაპიტალური ტრანსფერი	0.0	0.0	0.0

⁴ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემულია აგრეთვე 12 შპს (საექიმო ამბულატორიები).

სულ:	9 791.9	9 023.4	18 815.3
------	---------	---------	----------

მუნიციპალიტეტმა 2014-2015 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიიღო 8410.9 ათასი ლარი, რომელიც გამგეობის მიერ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში არასწორადაა ასახული „სპეციალური ტრანსფერის“ მუხლში.

გადასახდელები


„დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის“ მიხედვით, გადასახდელებმა სულ შეადგინა 23 784.7 ათასი ლარი⁵. მათ შორის, ხარჯი შეადგენს 48%-ს, არაფინანსური აქტივების ზრდას 50% უჭირავს, ხოლო ვალდებულებების კლება განისაზღვრა 2%-ით.

2014-2015 წლების გადასახდელების გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები (ათასი ლარი)

გადასახდელები	2014 წელი			2015 წელი		
	გეგმა	შესრულება	შესრულების %	გეგმა	შესრულება	შესრულების %
ხარჯები	5999.1	5552	93%	6515.2	5 937.80	91%
არაფინანსური აქტივების ზრდა	8199.8	4464.1	54%	9851.8	7 348.90	75%
ვალდებულებების კლება	225.1	224.9	100%	257.8	257	100%

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, განსაკუთრებით დაბალია არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელი დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ განახორციელა წლის განმავლობაში დაგეგმილი კაპიტალური პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი. 2014 წელს არაფინანსური აქტივების ზრდის დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა 54%-ით, ხოლო 2015 წელს - 75%-ით.

2014-2015 წლების ბიუჯეტის გადასახდელები (ათასი ლარი)




2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ნახევარი კაპიტალურ ხარჯებზე მოდის. მთლიან გადასახდელებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს ასევე ადმინისტრაციის შენახვის ხარჯსა (21%) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე გადახდილ სუბსიდიას (19%).

2014-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

⁵ 2014 წელი - 10241.0 ათასი ლარი; 2015 წელი - 13543,7 ათასი.

ხარჯები 2014-2015 წლების მონაცემებით (ათასი ლარი)



ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების დაფინანსებაზე (39%)⁶. ხარჯებში ერთ-ერთი დიდი მაჩვენებლით წარმოდგენილია ასევე „შრომის ანაზღაურების“ მუხლი (23%) და „საქონელი და მომსახურების“ მუხლი (21%).

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2014-2015 წლებში საკრებულოსა და გამგეობაში, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია მთლიანი ხარჯების 57%.

ნაშთის ცვლილება

2014 წლის დასაწყისში დუშეთის მუნიციპალიტეტს საბანკო ანგარიშზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 2414.7 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტში სრულად დაგეგმა ნაშთის გამოყენება. მიუხედავად ამისა, წლის ბოლოსათვის აღნიშნული თანხის მოცულობა გაიზარდა და 5035.1 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, თავისუფალი ნაშთი 747.6 ათასი ლარია. 2015 წლის ბიუჯეტში მუნიციპალიტეტმა სრულად დაგეგმა არსებული ნაშთის გამოყენება, მაგრამ აითვისა თანხის მხოლოდ ნაწილი და 31 დეკემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე რიცხულმა ფულადმა სახსრებმა 3342.1 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, თავისუფალი ნაშთის სახით გამგეობას ერიცხება 656.0 ათასი ლარი.

სასურველია, მუნიციპალიტეტმა ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი იმგვარად დაგეგმოს, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

მიუღებელი შემოსავლები - გადაუხდელი იჯარები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემის შემთხვევაში, გამგეობა ვალდებულია აწარმოოს მისაღები საიჯარო ქირის აღრიცხვა. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე უარს აცხადებს ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების შესრულებაზე, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

გარემოება: 2014-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას სულ იჯარით გაცემული 3 ქონდა 44 ობიექტი, საიდანაც 2014 წელს საიჯარო ქირის სახით უნდა მიეღო 25.8 ათასი ლარი და 0.4 ათასი აშშ დოლარი, ხოლო ფაქტობრივად მიიღო 20.9 ათასი ლარი; ასევე 2015 წელს მისაღებმა საიჯარო თანხამ შეადგინა 18.9 ათასი ლარი და 0.4 ათასი აშშ დოლარი, ხოლო ფაქტობრივად მიიღო 14.1 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ 2014 წლამდე მუნიციპალიტეტის მიმართ მოიჯარეების დავალიანება შეადგენდა 41.9 ათასი ლარსა და 2.0

⁶ ა(ა)იპ-ების მიერ მიღებული სუბსიდიების 72% მიმართულია დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე.

ათას აშშ დოლარს. შედეგად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მიერ მიუღებელმა საიჯარო თანხამ შეადგინა 51.6 ათასი ლარი და 2.8 ათასი აშშ დოლარი⁷. აღსანიშნავია, რომ აუდიტის მიმდინარეობის პროცესში მუნიციპალიტეტმა არსებული დავალიანება შეამცირა 4.3 ათასი ლარით. გადაუხდელი საიჯარო ქირიდან 28.0 ათასი ლარი არის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „ავტობაზის“⁸ დავალიანება გამგეობის მიმართ.

2014-2015 წლებში იმ პირებს, რომელთაც არ აქვთ გადახდილი საიჯარო ქირა გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, მუნიციპალიტეტიდან დაეგზავნათ წერილები, რითაც გამგეობა მათ ატყობინებდა არსებული დავალიანებისა და გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად აღნიშნულისა, მოიჯარეებთან ხელშეკრულებების შეწყვეტა არ მომხდარა, ხოლო მუნიციპალიტეტს არ გამოუყენებია მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება საიჯარო დავალიანებების მისაღებად.

მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილმა პირებმა შეისწავლონ თითოეული შემთხვევა, როდესაც მოიჯარის მხრიდან არ სრულდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და გაატარონ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ არსებული დავალიანების სრულად და დროულად მიღება ადგილობრივ ბიუჯეტში.

დუშეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

დუშეთის ხევის გამაგრების სამუშაოები

კრიტერიუმი 1: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესი წარმართოს ისე, რომ საბოლოოდ უზრუნველყოს დასახული მიზნის მიღწევა. სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ მის შესაბამისად შესრულებული სამუშაო სრულად უზრუნველყოფდეს დასახული ამოცანის გადაწყვეტას. თავის მხრივ, გამგეობა ვალდებულია შეიმუშაოს და დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს მშენებლობის პროცესის წარმართვას სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად.

გარემოება: 2013 წლის 30 აგვისტოს შპს „მშენებელი XXI+“-თან დუშეთის მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება მდინარე დუშეთის ხევის გამაგრების სამუშაოებზე, საერთო ღირებულებით 885.0 ათასი ლარი, რაც გულისხმობდა 1577 გრძ.მ-ზე ბეტონის ფილებისა და ორი ხიდის მოწყობას. მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში, შუალედური შესრულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტი მიმწოდებელს უნაზღაურებდა შესრულებული სამუშაოების ღირებულებას. ჯამში შემსრულებელზე გადახდილია 869.4 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფმა გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე დაათვალიერა მდინარე დუშეთის ხევის ნაპირსამაგრი სამუშაოები. აღმოჩნდა, რომ ნაგებობის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაახლოებით 232 გრძ.მ, გამოსულია მწყობრიდან.

სურათი 1: დუშეთის ხევის ბეტონის კედელი

⁷ შესაბამისი პერიოდის კურსით ლარებში.

⁸ დუშეთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის წერილობითი ახსნა-განმარტების თანახმად, აღნიშნული შპს არ ფუნქციონირებს და იგეგმება მისი ლიკვიდაციის პროცესის დაწყება.



ნაპირსამაგრი ბეტონის ფილების დაზიანება (კედლების წაქცევა) ძირითადად შესაძლებელია გამოწვეული იყოს უხარისხო პროექტით ან არსებული პროექტის შეუსაბამოდ ჩატარებული სამუშაოებით.

შპს „მშენებელი XXI“-ის დაკვეთით ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა. დასკვნის თანახმად, სამუშაოები შესრულებულია პროექტის მიხედვით. ნაგებობის დაზიანება კი გამოიწვია წყალდიდობის შედეგად საძირკვლის გამორეცხვამ, რომლის პრევენციის ღონისძიებებს პროექტი არ ითვალისწინებდა.

პროექტის ავტორმა შპს LMC-მ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დაუკვეთა შესრულებული ბეტონის სამუშაოების ექსპერტიზა. დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ მიმწოდებელს ნაცვლად მ-400 მარკის ბეტონისა, გამოყენებული აქვს მ-350 მარკის ბეტონი.

შედეგად, დუშეთის ხევის კალაპოტის გამაგრების სამუშაოებში მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია 869.4 ათასი ლარი, მშენებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებულია და გამოსულია მწყობრიდან. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, უხარისხო იყო როგორც აღნიშნული ხევის გამაგრების პროექტი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 21.4 ათასი ლარი, ასევე მიმწოდებლის მიერ შესრულებული ბეტონის სამუშაოები, რაშიც გადახდილია 323.7 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მოწყობილი ბეტონის კედლის ნაწილი დაინგრა სამუშაოების საბოლოო ჩაბარებამდე, რის გამოც მუნიციპალიტეტმა ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს.

კრიტერიუმი 2: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ფირმა ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების მომენტში წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.⁹ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ჯეროვნად არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მუნიციპალიტეტს შეუძლია აღნიშნულ დოკუმენტში დაფიქსირებული თანხა უპირობოდ მოითხოვოს გარანტიის გამცემი ორგანიზაციისგან.

⁹ თუ ხელშეკრულების ღირებულება აღემატება 200 ათას ლარს.

გარემოება: დუშეთის ხევის ნაპირსამაგრ სამუშაოებზე მიმწოდებელმა მუნიციპალიტეტს წარუდგინა 88.5 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელმა ვერ მოახერხა სამუშაოების ჩაბარება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, მუნიციპალიტეტმა არ მოითხოვა გარანტიის ვადის გაგრძელება და შესაბამისად, დაკარგა 88.5 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

სოფელ ბაგასთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები

აღწერა: 2014 წლის სექტემბერში დუშეთის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი ბაგასთან ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბაგასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „საქართველოს სამხედრო გზა“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება საერთო ღირებულებით - 590.6 ათასი ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 5 იანვარი. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ფაქტობრივმა ღირებულებამ 570.3 ათასი ლარი შეადგინა.

კრიტერიუმი 1: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემსყიდველი ვალდებულია სამუშაოები ჩაიბაროს არსებული პროექტის მიხედვით. მშენებლობის პროცესში სამუშაოების დაზიანების შემთხვევაში კი, მიმწოდებელმა შემსყიდველთან, საპროექტო ფირმასთან და შესაბამისი დარგის ექსპერტებთან ერთად უნდა განსაზღვროს აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მისი გადაჭრის გზები ისე, რომ შეინარჩუნოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

გარემოება 1.1: ბაგის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის მიხედვით, გზის გასწვრივ სანიაღვრე არხი უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ასფალტის საფარს. შესრულებული სამუშაოს აქტების თანახმად, ფაქტობრივად დაგებული ასფალტი დაახლოებით 1 მ-ით არის მოშორებული სანიაღვრე არხს ორივე მხრიდან. შესაბამისად, მშენებლობა არ განხორციელებულა არსებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიმწოდებელმა მშენებლობის პროცესში იხელმძღვანელა კორექტირებული პროექტით. აღსანიშნავია, რომ ბაგის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით მშენებლობა დასრულდა 2015 წლის 31 მარტს, ხოლო საპროექტო ფირმის განმარტებით, ობიექტის კორექტირებული ნახაზი შედგენილია 2016 წლის მაისში, სამუშაოების საბოლოოდ დამთავრებიდან დაახლოებით 13 თვის შემდეგ. შედეგად, სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებელი ვერ იხელმძღვანელებდა შეცვლილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტმა განახორციელა ახალი შესყიდვა არსებული ასფალტის საფარისა და სანიაღვრე არხის ბეტონის საფარით დაკავშირების მიზნით, რაშიც დაიხარჯა 39.3 ათასი ლარი.

გარემოება 1.2: სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველის წერილებიდან ირკვევა, რომ მოწყობილი გზის საფარის ნაწილს გააჩნდა გარკვეული ხარვეზები, რომელიც მიმწოდებელმა შეაკეთა ფრაგმენტული¹⁰ შეკეთების გზით. აღნიშნული გარემოება ასევე ფიქსირდება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 570.3 ათასი ლარი გადახდილია გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებზე, რომლის ნაწილზეც სამუშაოების დასრულებამდე მიმწოდებელმა შეასრულა ფრაგმენტული შეკეთება.

¹⁰ ფრაგმენტული შეკეთება გულისხმობს ასფალტის საფარის დაზიანებული ნაწილის მოჭრას და მის ნაცვლად ახალის მოწყობას

კრიტერიუმი 2: შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია ხელშეკრულებაში ისეთი ცვლილების განხორციელება, რომლითაც იცვლება შესყიდვის ობიექტი. ასევე, დაუშვებელია პირობების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

გარემოება: სოფელ ბაგაში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებმა მშენებლობის პროცესში განიცადა არსებითი ცვლილებები. კერძოდ, ასფალტის საფარი ნაცვლად 11 სმ-ისა, შეიცვალა 8 სმ-ით, ხარჯთაღრიცხვას დაემატა 475 გრძ.მ ბეტონის სანიაღვრეებისა და 465 გრძ.მ ანაკრები რკინა-ბეტონის სანიაღვრეების მოწყობის სამუშაოები, მოხრეშვის სისქე ნაცვლად 22 სმ-ისა, განისაზღვრა 15 სმ-ით. გარდა აღნიშნულისა, დაკორექტირდა სფალტის ქვედა ფენის მოცულობა, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაში შეცდომით იყო მითითებული და ნაცვლად 905 კვ.მ-ისა, განისაზღვრა 9050 კვ.მ-ით.

ხარჯთაღრიცხვაში შესული ცვლილებების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ შესყიდვის ობიექტმა განიცადა არსებითი ცვლილებები. იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტური აუცილებლობა განაპირობებს შესყიდვის ობიექტის ცვლილებას, მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურები და გამოაცხადოს ახალი შესყიდვა.

ახატანი-ბიწმენდის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

აღწერა: 2015 წლის 3 სექტემბერს დუშეთის მუნიციპალიტეტმა ახატანი-ბიწმენდის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ხელშეკრულება გააფორმა შპს „ინჟინერთან“, საერთო ღირებულებით 820.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტმა მიღება-ჩაბარების აქტით ჩაიბარა 819.5 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში მიმწოდებელზე გადახდილმა თანხამ შეადგინა 737.6 ათასი ლარი.

კრიტერიუმი 1: მიმწოდებელი ვალდებულია შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმა №2) ასახოს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოები. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტი ვალდებულია გადაამოწმოს და დაადასტუროს ფორმა №2-ებში ასახული ინფორმაციის სისწორე.

გარემოება 1.1: ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, მიმწოდებელს უნდა გაეტანა დემონტირებული ასფალტის საფარი და კლდის ნაშალი 7 კმ-ზე ნაყარში, ჯამში 2.9 ათასი ტონა. აუდიტის ჯგუფმა გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ვერ მიუთითეს, კონკრეტულად სად იქნა გატანილი აღნიშნული სამშენებლო ნარჩენები. ასევე აღმოჩნდა, რომ მოხსნილი კლდის ძირითადი ნაწილი გადაყრილია გზის ნაპირზე, 10-15 მეტრის რადიუსში, ხოლო გზის გასწვრივ შეინიშნება დემონტირებული ასფალტის საფარი და სხვადასხვა სამშენებლო ნარჩენები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 30.8 ათასი ლარის ღირებულების ისეთი სამუშაოები, რომლებიც მიმწოდებელს სრულად არ შეუსრულებია.

სურათი 2: გზის გასწვრივ გადაყრილი დემონტირებული კლდის ნარჩენები



სურათი 3: გზის გასწვრივ გადაყრილი დემონტირებული ძველი ასფალტის საფარი



აღსანიშნავია, რომ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვა დაკორექტირდა, რის შედეგადაც 5118 კვ.მ-ით გაიზარდა ღირსის მოცულობა სისქის შეუცვლელად. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დამატებული ხრეშით უნდა მოწყობილიყო გზის გვერდულები. აუდიტის ჯგუფმა გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა. შედეგად აღმოჩნდა, რომ რეაბილიტირებული გზის ძირითად ნაწილზე გვერდულები მოწყობილი არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 18.5 ათასი ლარის ღირებულების ისეთი სამუშაო, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი არ შესრულებულა.

ჯამში ახატანი-ბიწმენდის გზის რეაბილიტაციაზე შემსრულებელს აუნაზღაურდა 49.3 ათასი ლარის ისეთი სამუშაოს ღირებულება, რომელიც მიმწოდებელმა სრულად არ შეასრულა.

გარემოება 1.2: გამგეობამ აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა 25.6 ათასი ლარის ფარული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილ აქტებში ფიქსირდება 15443 კვ.მ ასფალტის ქვედა ფენის მოწყობა, მაშინ როდესაც ფორმა №2-ების მიხედვით, მოეწყო 16599 კვ.მ ფართობის გზა. აღნიშნული გარემოება დაფიქსირებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაშიც, რომლის თანახმადაც, ფარული სამუშაოების აქტების სრულყოფილად

წარმოდგენილობის გამო, მოცულობების განსაზღვრისას ექსპერტი დაეყრდნო ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებულ მონაცემებს.

კრიტერიუმი 2: შემსრულებლის მიერ მიწოდების ვადების დარღვევის დროს, მუნიციპალიტეტმა უნდა გამოიყენოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები.

გარემოება: სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მიმწოდებლის მხრიდან სისტემატურად ირღვეოდა გეგმა-გრაფიკი, რასაც ადასტურებს გამგეობის მიერ შპს „ინჟინერისთვის“ გაგზავნილი გაფრთხილების წერილები¹¹. მიუხედავად ამისა, გამგეობას არ გაუტარებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებები და არ დაუჯარიმებია მიმწოდებელი გეგმა-გრაფიკის დარღვევისთვის. გეგმა-გრაფიკის დარღვევისთვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს უნდა დარიცხვოდა ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, რაც ჯამში შეადგენს 18.0 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ სამუშაოები საბოლოოდ ჩაბარდა 28 დღის დაგვიანებით, რის გამოც მიმწოდებელს დამატებით უნდა დარიცხვოდა 22.9 ათასი ლარის ჯარიმა. სულ ორივე შემთხვევაში შპს „ინჟინერზე“ დასარიცხმა ჯარიმამ მინიმუმ 40.9 ათასი ლარი შეადგინა.

იოსელიანის ქუჩის რეაბილიტაცია

აღწერა: 2014 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტმა შპს „ინჟინერთან“, იოსელიანის ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გააფორმა ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 180.0 ათასი ლარი. პროექტი უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვეში, 2014 წლის 8 დეკემბერს. ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტმა მიღება-ჩაბარების აქტით ჩაიბარა 177.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში მიმწოდებელზე გადახდილმა თანხამ შეადგინა 168.2 ათასი ლარი.

კრიტერიუმი 1: შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი სამუშაოებს აბარებს შეთანხმებული ვადების დარღვევით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შემსრულებელს დაარიცხოს პირგასამტეხლო და გაატაროს კანონით განსაზღვრული ღონისძიებები მის ამოსაღებად.

გარემოება: შემსრულებელს სამუშაოები უნდა დაესრულებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის ვადაში, მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ, მას შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 11.4 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო, რაც მთლიანი ხელშეკრულების ღირებულების 6,3%-ს შეადგენს.

2014 წლის 22 დეკემბერს სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, უამინდობისა და ხელშეკრულების კორექტირების გამო შემსრულებელს მიწოდების ვადა გადაეწია 2015 წლის 15 აპრილამდე. ტექნიკური ზედამხედველის ახსნა-განმარტების თანახმად, შემსრულებელმა საქმიანობა დაიწყო 1 თვის დაგვიანებით. შესაბამისად, სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დაუსრულებლობა ძირითადად განპირობებულია შპს „ინჟინერის“ მიზეზით, რაც მიწოდების ვადის გაგრძელების ობიექტური საფუძველი არ შეიძლება იყოს. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი არ გადაწევდა მიწოდების ვადას, შემსრულებელს დამატებით დაეკისრებოდა ჯარიმა 20.5 ათასი ლარის ოდენობით.

¹¹ 2015 წლის 7 ოქტომბრის, 13 ოქტომბრისა და 7 ნოემბრის წერილები.

შპს „ინჟინერმა“ გამგეობას ბოლო ფორმა №2 წარუდგინა 2015 წლის 13 აგვისტოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველს მიმწოდებელი უნდა დაეჯარიმებინა 118-დღიანი ვადის გადაცილებისთვის, თანხით 14.0 ათას ლარი.

კრიტერიუმი 2: სამშენებლო-სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესში ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების აქტებს უნდა ახლდეს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნები, რომელთა შედეგებიც მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების დროს. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, გამგეობა ვალდებულია შეამოწმოს და დაადასტუროს, რამდენად ასახავს რეალობას მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გარემოება 2.1: 2015 წლის დეკემბერში მიმწოდებელმა შემსყიდველს წარუდგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი არ აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტს. მიუხედავად ამისა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მაინც ჩაიბარა 177.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, უხარისხო სამუშაოების მიღების საფუძველი იყო მიმწოდებლის წერილი, რომლის თანახმად, ის იღებდა ვალდებულებას არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე 2016 წლის მაისამდე. ექსპერტიზის აქტში დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა მიმწოდებელმა დაიწყო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მიუხედავად ამისა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში არსებული ხარვეზები გამოსწორებულია ნაწილობრივ. კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შპს-მ გამოასწორა მხოლოდ ხარვეზით შესრულებული ბეტონის სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელთან 2016 წლის 23 აგვისტოს გააფორმა შეთანხმება, რის შედეგადაც შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა გაიზარდა ერთი წლით.

იმ შემთხვევაში, თუ გამგეობა არ ჩაიბარებდა უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებს, მას ექნებოდა იურიდიული საფუძველი მიმწოდებელზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულებისთვის, 2015 წლის 13 აგვისტოდან, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაერიცხა პირგასამტეხლო 180 ლარის ოდენობით.

გარემოება 2.2: სამუშაოების დასრულებისას გამგეობის მიერ დაქირავებული ტექნიკური ზედამხედველი ადგენს შესაბამის დასკვნას, სადაც მითითებულია მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი და მათი დასრულების თარიღი. აღნიშნულ დოკუმენტს ზედამხედველი უგზავნის გამგეობას, რომელიც ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად წარმოადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს. მიმწოდებლის საქმიანობის დასრულების ვადად ითვლება ტექნიკური ზედამხედველის დასკვნაში დაფიქსირებული თარიღი, რომლის მიხედვითაც გამგეობამ უნდა განსაზღვროს, დაასრულა თუ არა ფირმამ საქმიანობა ხელშეკრულების ვადების შესაბამისად.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აუდიტის ჯგუფს წარუდგინა იოსელიანის ქუჩის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, ტექნიკური ზედამხედველის დასკვნასთან ერთად. ორივე დოკუმენტში სამუშაოების დასრულების საბოლოო თარიღად მითითებულია 2015 წლის 21 ივლისი. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 29 ივლისს ზედამხედველმა გამგეობას მიმართა წერილით, რომლის თანახმად, იოსელიანის ქუჩაზე სამუშაოების გარკვეული ნაწილი შესრულებულია და მშენებლობა ისევ გრძელდება. შესაბამისად, სამუშაოები ვერ იქნებოდა დასრულებული 2015 წლის 21 ივლისს.

გარემოება 2.3: 2015 წლის 25 დეკემბერს შპს „ინჟინერმა“ გზის ლაბორატორიული შემოწმების შედეგების ამსახველი ექსპერტიზის დასკვნა წარუდგინა გამგეობას, სადაც

ასახული არ იყო 4 სხვადასხვა კომპონენტზე ჩატარებული გამოცდის შედეგები. კერძოდ, დასკვნაში არ ფიქსირდება, წყალგაჯერების, გაჯირჯვების, სიმტკიცისა და წყალმედდობის მაჩვენებლები. 2016 წლის 28 აპრილს შემსრულებელმა გამგეობას წარუდგინა მეორე ლაბორატორიული კვლევის შედეგები, სადაც დასახელებული მონაცემები უკვე შევსებულია. წარმოდგენილ დასკვნებში ასფალტის ნიმუშის აღების ადგილი და თარიღი, ასევე დასკვნების ნომრები და გაცემის თარიღი ერთმანეთს ემთხვევა. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის დასადგენად, თუ რამ გამოიწვია ერთსა და იმავე ექსპერტიზის დასკვნაში განსხვავებული მონაცემების ასახვა. საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

რაზიკაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია

აღწერა: 2014 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტმა შპს „ინჟინერთან“, რაზიკაშვილის ქუჩისა და ბაზრის უკან არსებული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გააფორმა ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 239.0 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2014 წლის პირველ დეკემბერს. ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელზე ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 219.0 ათასი ლარი.

კრიტერიუმი 1: შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი სამუშაოებს აბარებს შეთანხმებული ვადების დარღვევით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შემსრულებელს დაარიცხოს პირგასამტეხლო და გაატაროს კანონით განსაზღვრული ღონისძიებები მის ამოსაღებად.

გარემოება: მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველის წერილობითი ახსნა-განმარტების მიხედვით, მიმწოდებელი ხშირად წყვეტდა სამუშაოებს, რის მიზეზადაც ძირითადად ფირმის უსახსრობა სახელდებოდა. ზედამხედველის 2015 წლის 21 მარტის წერილით ასევე ირკვევა, რომ ამ დროისთვის მშენებლობა გაჩერებული იყო.

შპს „ინჟინერთან“ გაფორმებული შეთანხმებით, სამუშაოების მიწოდების ვადა უამინდობის და ფირმის ფინანსური პრობლემების მოტივით გაიზარდა 2015 წლის 15 აპრილამდე. კომპანიის ფინანსური პრობლემები არ შეიძლებოდა ყოფილიყო მუნიციპალიტეტისთვის სამუშაოების ვადის გადაწევის საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი შემსრულებელს არ გადაუწევდა სამუშაოების მიწოდების ვადას, მას დაერიცხებოდა პირგასამტეხლო 2015 წლის 15 აპრილამდე, 5.5 ათასი ლარის ოდენობით. სამუშაოები საბოლოოდ ჩაბარდა 2015 წლის 1 სექტემბერს 137 დღის დაგვიანებით, რის გამოც მიმწოდებელი უნდა დაჯარიმებულიყო 17.3 ათასი ლარით.

კრიტერიუმი 2: სამშენებლო-სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესში ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების აქტებს უნდა ახლდეს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნები, რომელთა შედეგებიც მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების დროს. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე გამგეობა ვალდებულია შეამოწმოს და დაადასტუროს, რამდენად ასახავს რეალობას მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გარემოება 2.1: 2015 წლის დეკემბერში მიმწოდებელმა შემსყიდველს წარუდგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი არ აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტს. მიუხედავად ამისა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მაინც ჩაიბარა 228.9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, უხარისხო სამუშაოების მიღების საფუძველი იყო მიმწოდებლის წერილი, რომლის თანახმად, ის

იღებდა ვალდებულებას არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე 2016 წლის მაისამდე. ექსპერტიზის აქტში დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა მიმწოდებელმა დაიწყო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მიუხედავად ამისა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში არსებული ხარვეზები გამოსწორებულია ნაწილობრივ. კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შპს-მ გამოასწორა მხოლოდ ხარვეზით შესრულებული ბეტონის სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელთან 2016 წლის 23 აგვისტოს გააფორმა შეთანხმება, რის შედეგადაც შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა გაიზარდა ერთი წლით.

იმ შემთხვევაში, თუ გამგეობა არ ჩაიბარებდა უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებს, მას ექნებოდა იურიდიული საფუძველი მიმწოდებელზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულებისთვის 2015 წლის პირველი სექტემბრიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაერიცხა პირგასამტეხლო 239 ლარის ოდენობით.

გარემოება 2.2: სამუშაოების დასრულებისას გამგეობის მიერ დაქირავებული ტექნიკური ზედამხედველი ადგენს შესაბამის დასკვნას, სადაც მითითებულია მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი და მათი დასრულების თარიღი. აღნიშნულ დოკუმენტს ზედამხედველი უგზავნის გამგეობას, რომელიც ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად წარმოადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს. მიმწოდებლის საქმიანობის დასრულების ვადად ითვლება ტექნიკური ზედამხედველის დასკვნაში დაფიქსირებული თარიღი, რომლის მიხედვითაც გამგეობამ უნდა განსაზღვროს, დაასრულა თუ არა ფირმამ საქმიანობა ხელშეკრულების ვადების შესაბამისად.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აუდიტის ჯგუფს წარუდგინა რაზიკაშვილის ქუჩის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, ტექნიკური ზედამხედველის დასკვნასთან ერთად. ორივე დოკუმენტში სამუშაოების დასრულების საბოლოო თარიღად მითითებულია 2015 წლის 1 სექტემბერი. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 9 და 11 სექტემბერს ზედამხედველის მიერ გამგეობისთვის გაგზავნილი წერილების თანახმად, რაზიკაშვილის ქუჩაზე სამუშაოების გარკვეული ნაწილი შესრულებულია და მშენებლობა ისევ გრძელდება. შესაბამისად, მითითებული თარიღი ვერ იქნება სამუშაოების ფაქტობრივად დასრულების დრო.

გარემოება 2.3: 2015 წლის 25 დეკემბერს შპს „ინჟინერმა“ გზის ლაბორატორიული შემოწმების შედეგების ამსახველი ექსპერტიზის დასკვნა წარუდგინა გამგეობას, სადაც არ იყო ასახული 4 სხვადასხვა კომპონენტზე ჩატარებული გამოცდის შედეგები. კერძოდ, დასკვნაში არ ფიქსირდება წყალგაჯერების, გაჯირჯვების, სიმტკიცისა და წყალმდეგობის მაჩვენებლები. 2016 წლის 28 აპრილს შემსრულებელმა გამგეობას წარუდგინა მეორე ლაბორატორიული კვლევის შედეგები, სადაც დასახელებული მონაცემები უკვე შევსებულია. წარმოდგენილ დასკვნებში ასფალტის ნიმუშის აღების ადგილი და თარიღი, ასევე დასკვნების ნომრები და გაცემის თარიღი ერთმანეთს ემთხვევა. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის დასადგენად, თუ რამ გამოიწვია ერთსა და იმავე ექსპერტიზის დასკვნაში განსხვავებული მონაცემების ასახვა. საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

კრიტერიუმი 3: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ფირმა ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების მომენტში წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია¹². იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ჯეროვნად არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მუნიციპალიტეტს

¹² თუ ხელშეკრულების ღირებულება აღემატება 200 ათას ლარს.

შეუძლია აღნიშნულ გარანტიაში დაფიქსირებული თანხა უპირობოდ მოითხოვოს გარანტიის გამცემი ორგანიზაციისგან.

გარემოება: რაზიკაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიმწოდებელმა მუნიციპალიტეტს წარუდგინა 12.0 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. მიუხედავად იმისა, რომ შპს „ინჟინერმა“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოები ჯეროვნად ვერ შეასრულა მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა საბანკო გარანტია. შესაბამისად, დაკარგა 12.0 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

დაბა ფასანაურში განხორციელებული ნაპირსამაგრი სამუშაოები

აღწერა: დუშეთის მუნიციპალიტეტმა 2013 წლის 30 ივლისს გამოაცხადა ტენდერი დაბა ფასანაურში ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე, ღირებულებით 541.9 ათასი ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა ტენდერში გამარჯვებულ ფირმასთან, შპს „გუმბათი-7-თან“, ღირებულებით - 379.7 ათასი ლარი.¹³ სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 2 დეკემბერი, რომელმაც მიმწოდებელსა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე გადაიწია 2014 წლის 1 მარტამდე.

კრიტერიუმი 1: მუნიციპალიტეტი ვალდებულია სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესის ორგანიზება უზრუნველყოს ისე, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო სამუშაოების მიღება ან მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

გარემოება: ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელთან ანაზღაურება ხდება შუალედური შესრულების მიხედვით. სამუშაოების მიმდინარეობისას წარმოდგენილი ფორმა №2-ების საფუძველზე მიმწოდებელს გადაერიცხა 367.3 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების მოცულობას ჩაუტარდა ექსპერტიზა, რომლის მიხედვითაც შპს „გუმბათი-7-ს“ შესრულებული ჰქონდა 367.4 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო. შემსყიდველმა მიმწოდებელს მოსთხოვა დაედასტურებინა ჩასხმული ბეტონის ხარისხიც და წარმოედგინა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, რაც არ განახორციელდა. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის ობიექტი არ არის ჩაბარებული. შედეგად, მიმწოდებელს მოწყობილი ნაპირსამაგრის ღირებულება აუნაზღაურდა ისე, რომ მას არ წარმოუდგენია ბეტონის მარკიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

კრიტერიუმი 2: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ფირმა ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების მომენტში წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია,¹⁴ რომელიც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ჯეროვნად არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მუნიციპალიტეტს შეუძლია აღნიშნულ გარანტიაში დაფიქსირებული თანხა უპირობოდ მოითხოვოს გარანტიის გამცემი ორგანიზაციისგან.

გარემოება: დაბა ფასანაურში განხორციელებულ ნაპირსამაგრ სამუშაოებზე მიმწოდებელმა წარმოადგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ღირებულებით 38.0 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელმა ჯეროვნად არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და შემსყიდველს არ წარუდგინა შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის დასკვნა, გამგეობამ არ გამოიყენა არსებული საბანკო გარანტია, რის შედეგადაც დაკარგა 38.0 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

¹³ 2013 წლის ხელშეკრულება №380.

¹⁴ თუ ხელშეკრულების ღირებულება აღემატება 200 ათას ლარს.

ზემო მლეთაში მდინარის გაწმენდისა და დაღრმავების სამუშაოები

კრიტერიუმი: არსებული პრაქტიკის მიხედვით საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა ხორციელდება იმ მიზნით, რომ შემსყიდველმა გაარკვიოს რამდენად ხარისხიანია მიწოდებული პროექტი. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი უხარისხოა, უნდა დაუბრუნდეს მიმწოდებელს მასში შესაბამისი კორექტირების შეტანის მიზნით. დამატებითი ხარჯების თავიდან ასაცილებლად შესყიდვა უნდა განხორციელდეს სათანადოდ შედგენილი პროექტის საფუძველზე.

გარემოება: 2014 წლის სექტემბერში დუშეთის მუნიციპალიტეტმა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, ზემო მლეთაში მდინარის კალაპოტის გაწმენდისა და დაღრმავების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება შესყიდა შპს „აისისგან“, თანხით 2.2 ათასი ლარი. 2014 წლის 29 დეკემბერის, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით აღნიშნულ საპროექტო დოკუმენტაციას არასრულყოფილი სახე აქვს. მიღებული საინჟინრო გადაწყვეტილებები არაარგუმენტირებულია. შესაბამისად, სამშენებლო მოცულობები დაუსაბუთებელია. პროექტს არ ეძლევა რეკომენდაცია რეალიზაციისთვის. რაც შეეხება სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, მისი ექსპერტიზა მიზანშეწონილი იქნება პროექტის შევსებისა და კორექტირების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ გამგეობა ფლობდა ინფორმაციას პროექტის უხარისხობის შესახებ, 2015 წლის 16 ივნისს დუშეთის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა შესყიდვა შპს „აისის“ მიერ შედგენილი და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ უარყოფითად შეფასებული პროექტით. აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს UNIX-მა, რომელიც გამოცხადდა გამარჯვებულად და გაუფორმდა ხელშეკრულება თანხით 145.3 ათასი ლარი.

2015 წლის 13 აგვისტოს შემსრულებელმა წარმოადგინა პირველი ფორმა №2, ღირებულებით 33.4 ათასი ლარი, რომლის მიხედვით მან შეასრულა კალაპოტის გაწმენდის სამუშაო ბუღლოზერით და გრუნტის გადაადგილებით, მდინარის ორივე მხარეს. აღნიშნული სამუშაოების შემდეგ მიმწოდებელმა ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე წერილობით რამდენჯერმე მიმართა მუნიციპალიტეტს, სადაც ატყობინებდა, რომ გამგეობის წარმომადგენლებმა მიაწოდეს კორექტირებული პროექტი, თუმცა რაიმე ტიპის ოფიციალური შეთანხმება მასთან არ გაფორმებულა. კომპანიის ცნობით, გამგეობის პასუხისმგებელმა პირებმა მას ვერ მიაწოდეს ინფორმაცია, თუ რომელი პროექტით გაეგრძელებინა საქმიანობა, რის საფუძველზედაც შეწყვიტა სამუშაოები. შედეგად მუნიციპალიტეტმა 33.4 ათასი ლარი გადაიხადა სამუშაოში, რომელიც საბოლოოდ არ დასრულებულა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს 16 თებერვალს დუშეთის მუნიციპალიტეტმა ხელახლა გამოაცხადა ტენდერი სოფელ მლეთაში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე, რომლის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას გაითვალისწინა 2015 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულება და შესყიდვის ობიექტის ფასი შეამცირა 33.4 ათასი ლარით.

დუშეთის სკვერის რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ნებისმიერი ცვლილება მხარეთა მიერ უნდა გაფორმდეს წერილობით, შეთანხმების აქტის სახით და დაერთოს ხელშეკრულებას.

გარემოება: 2015 წელს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „არაგვს“, დუშეთში საჭიდაო მოედნის მიმდებარე სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად, ღირებულებით 56.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს ჯახისა და რიყის ქვებით უნდა მოეპირკეთებინა სკვერის ბილიკები. აუდიტის

ჯგუფის მიერ სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ შემსრულებელს ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასალისა, გამოყენებული ჰქონდა ბეტონის ფილები, მუნიციპალიტეტთან შესაბამისი შეთანხმების გაფორმების გარეშე. აღსანიშნავია, რომ ბილიკების ბეტონის ფილებით მოპირკეთების სამუშაოები დადასტურებული აქვს ზედამხედველს და ჩაბარებული აქვს გამგეობას, რაზედაც შედგენილია ფორმა №2 და გადარიცხულია შესაბამისი თანხა.

აუდიტის ჯგუფის მიერ სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად, გამგეობამ მიმართა მიმწოდებელს შეეცვალა ფაქტობრივად გამოყენებული მასალა არსებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. მიმწოდებელმა გაითვალისწინა მუნიციპალიტეტის მოთხოვნა და მოწყობილი ბეტონის ფილები შეცვალა ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული მასალით.

ფაქტობრივი დანახარჯები

კრიტერიუმი : საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების¹⁵ თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება ანაზღაუროს მეწარმის მიერ ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების შესაბამისად. ასევე დაქირავებულ მანქანა-მექანიზმებს არ დაარიცხოს ზედნადები ხარჯები და გეგმური დაგროვება.

გარემოება: 2014-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული 382 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულია 3533.1 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები. საანგარიშგებო პერიოდში მუნიციპალიტეტი არ ითხოვდა მიმწოდებლებისგან ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტაციას. აღნიშნული წარმოშობს იმის რისკს, რომ საბიუჯეტო სახსრები ზედმეტად იქნა დახარჯული. მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე მიმწოდებლებისგან გამოითხოვა დოკუმენტაცია შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ, მაგრამ მათ მიერ დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი.

გამარტივებული წესით შესყიდულ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებებისა და შესაბამისი ფორმა №2-ების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მიმწოდებლებზე თანხის ანაზღაურების დროს არ იყო გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოება, რომ არც ერთი ხელშეკრულების ფარგლებში არ არის შემცირებული ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა გამოყენებულ რესურსზე ფაქტობრივი დანახარჯების გათვალისწინებით. რადგან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირია მიმწოდებლების ფაქტობრივ დანახარჯებსა და გამგეობის მიერ ანაზღაურებულ თანხებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები, საჭიროა მუნიციპალიტეტმა შეასრულოს აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები და შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

ოშპიტელის ხიდი

აღწერა: 2015 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი ოშპიტელის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით 130.7 ათასი ლარი. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ტექსერვისი“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 118.5 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა უკვე არსებული ხიდის გაფართოვება მისი დემონტაჟისა და გზის გადაკეთების გარეშე.

¹⁵ აუდიტის პერიოდში მოქმედი ნორმა

კრიტიკური: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის კორექტირების აუცილებლობა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული.

გარემოება: შპს „ტექსერვისთან“ გაფორმებული თავდაპირველი ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ოშპიტლის ხიდის გაფართოების სამუშაოები ისე, რომ ხიდი არ გადაკეტილიყო. საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებულია ის მანქანა-მექანიზმები, რომელთა გამოყენების შემთხვევაში შემსრულებელი ჩაატარებდა რეკონსტრუქციის სამუშაოებს ხიდის გადაკეტვისა და ალტერნატიული გზის მოწყობის გარეშე. 2015 წლის 4 ნოემბერს პროექტში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა მოსახლეობისთვის ალტერნატიული ხიდისა და ნაგებობამდე მისასვლელი გზის მოწყობა. აღნიშნული სამუშაოების ღირებულება, ჯამში 12.3 ათასი ლარი, მოაკლდა ოშპიტლის ხიდის გაფართოების სამუშაოებს - კერძოდ, შემცირდა გამოსაყენებელი ლითონის მოცულობა.

ოშპიტლის ხიდის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის კორექტირების პროცესის შესწავლისას გამოვლინდა, რომ ცვლილება გამოწვეული იყო არა ობიექტური საჭიროებით, არამედ იმით, რომ მიმწოდებელ ფირმას არ გააჩნდა არსებული პროექტით ხიდის გაკეთების რესურსი. კერძოდ, შპს „ტექსერვისის“ დირექტორის ახსნა-განმარტებით, ფირმამ ვერ მოახერხა მშენებლობისთვის საჭირო ყველა მასალის შესყიდვა. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება ხელშეკრულების კორექტირების ობიექტურ საფუძველად ვერ ჩაითვლება.

გამოუყენებელი სანქციები

კრიტიკური: მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, განსაზღვრულ ვადებში სამუშაოების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს შემსრულებლის დაჯარიმებას, თუ იგი გამოწვეულია ფორსმაჟორული ვითარებით, ან, თუ ხელშეკრულების პირობები აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ მას, ან დადებდნენ სხვა შინაარსით, აღნიშნული ცვლილება რომ გაეთვალისწინებიათ. ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს წერილობით შემსყიდველს შეცვლილი გარემოებების შესახებ, რაც შესაძლებელია გახდეს ხელშეკრულების პირობების შეცვლის საფუძველი.

გარემოება 1: 2014 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტმა გუდამაყრის ტერიტორიულ ერთეულში, სტიქიის შედეგად დაზიანებული რვა ობიექტის¹⁶ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ხელშეკრულება გააფორმა შპს „სოტრთან“, საერთო ღირებულებით 125.9 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 27 ოქტომბერი. მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვა, რის შედეგადაც შესასრულებელ სამუშაოებს მოაკლდა ერთი ობიექტი და სანაცვლოდ დაემატა შემდეგი სახის სამუშაოების შესრულება: მოხრეშილი გზის დატკეპნა და მიწების მოწყობა.

2014 წლის 7 ნოემბერს ხელშეკრულების გაფორმებიდან 38 დღის შემდეგ, მიმწოდებელმა ხარჯთაღრიცხვის კორექტირების მოტივით მოითხოვა მიწოდების ვადის გაზრდა. წერილი წარმოდგენილ იქნა სამუშაოების დასრულების ვადის ამოწურვიდან 11 დღის შემდეგ. შპს „სოტრის“ მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ხარჯთაღრიცხვის კორექტირებული ნაწილის შესრულება შესაძლებელი იყო 9 დღეში. მიუხედავად ამისა, ფირმას მიწოდების ვადა გაეზარდა 59 დღით. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ფარგლებში სარეაბილიტაციო ობიექტები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და ერთი კონკრეტული ობიექტის ხარჯთაღრიცხვის

¹⁶ თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო 9 ობიექტი, თუმცა შემდეგ ერთი ობიექტი შეთანხმების საფუძველზე ამოიღეს ხარჯთაღრიცხვიდან.

კორექტირება ვერ გამოიწვევდა სხვა მშენებლობების შეჩერებას. პირველი ცვლილებით განსაზღვრული მიწოდების ვადის ამოწურვის შემდეგ უამინდობის მოტივით მიმწოდებელს ისევ გაეზარდა სამუშაოების დასრულების ვადა 2015 წლის 31 მარტამდე. საბოლოოდ, შპს „სოტრიმ“ მშენებლობა დაასრულა თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის გასვლიდან 298 დღის დაგვიანებით, 2015 წლის 25 აგვისტოს. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობა შემსრულებელს არ გაუფორმებდა შეთანხმებებს ვადის გაგრძელებაზე და აამოქმედებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს, მიმწოდებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო 13.0 ათასი ლარის ოდენობით.

გარემოება 2: ჟინვალის ტერიტორიულ ერთეულში სტიქიით დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციისთვის 2014 წლის 30 სექტემბერს ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „სოტრს“, საერთო ღირებულებით 199.7 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა რვა სხვადასხვა ობიექტის რეაბილიტაცია და სამუშაოების საბოლოო ჩაბარების ვადად განისაზღვრა ამავე წლის 10 ნოემბერი.

2014 წლის 7 ნოემბერს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 38 დღის შემდეგ, მიმწოდებელმა ერთ-ერთი სარეაბილიტაციო ობიექტის - ხიდის ხარჯთაღრიცხვის კორექტირების მოტივით მოითხოვა მიწოდების ვადის გაზრდა. მოთხოვნა წარმოდგენილი იქნა სამუშაოების დასრულების ვადის ამოწურვამდე სამი დღით ადრე. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისთვის შემსრულებელს არ ჰქონდა სამუშაოები ჩაბარებული. პირველი შუალედური სამუშაოების შესრულების აქტი (ფორმა №2) წარმოდგენილია 2015 წლის 23 თებერვალს ღირებულებით - 6.1 ათასი ლარი, რაც სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ია. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს საქმიანობა აუცილებლად უნდა დაეწყო იმ ობიექტიდან, რომელზეც შეიცვალა ხარჯთაღრიცხვა, მაშინ მას სამუშაოების დაწყებიდან უმოკლეს ვადაში უნდა მიემართა მუნიციპალიტეტისათვის ხარჯთაღრიცხვის კორექტირებაზე. ამასთანავე, ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სარეაბილიტაციო ობიექტები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და ხიდის ხარჯთაღრიცხვის კორექტირება ვერ იქნებოდა დანარჩენი სამუშაოების შეუსრულებლობის ობიექტური მიზეზი. სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდა თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის გასვლიდან 183 დღის დაგვიანებით, 2015 წლის 13 მაისს. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი შპს „სოტრს“ არ გაუზრდიდა მიწოდების ვადას, მას ხელშეკრულების პირობების თანახმად, დაერიცხებოდა პირგასამტეხლო 26.4 ათასი ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაიწყო შპს „სოტრთან“ 2014-2015 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება. შედეგად შპს-ს მიერ შესრულებული სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაცია სრულად გადასცა სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების მიზნით.

გარემოება 3: სოფ. ქერიაანთკარში, ხევის კალაპოტის გაწმენდა-დაღრმავების, დამბური ტიპის მიწაყრილის, გაბიონებისა და ხიდ-ბოგირის მოწყობის მიზნით, 2015 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „დალა 73-თან“, ღირებულებით 256.6 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა ამავე წლის 27 ოქტომბერი.

მიმწოდებელი სამუშაოების შესრულების პროცესში სისტემატურად არღვევდა გეგმა-გრაფიკს¹⁷. ხელშეკრულების პირობების თანახმად, მას გეგმა-გრაფიკის დარღვევისთვის

¹⁷ ჯამში მიმწოდებელი გეგმა-გრაფიკს არღვევდა 333 დღის განმავლობაში

უნდა დარიცხვოდა პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სამუშაოები მიმწოდებელმა დაასრულა 2016 წლის 4 აგვისტოს. შედეგად, მას უნდა დარიცხვოდა პირგასამტეხლო - 85.4 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას ვადა ჰქონდა 2016 წლის 30 იანვრამდე. იმის გამო, რომ გარანტიას ვადა გაუვიდა, მუნიციპალიტეტმა დაკარგა 12.2 ათასი ლარის საგარანტიო თანხის მოთხოვნის უფლება.

გარემოება 4: 2015 წლის 19 ოქტომბერს სოფ. ანანურში, ახალ დასახლებაში წყალმომარაგების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოებზე მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „არაგველთან“, საერთო ღირებულებით 36.5 ათასი ლარი. წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების აქტებიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელი მუდმივად არღვევდა სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკს. ხელშეკრულების მიხედვით, გრაფიკის დარღვევისათვის მას 2015 წლის 26 ოქტომბრიდან უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 36.5 ლარის ოდენობით. სამუშაოები აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში არ დასრულებულა.

დარიცხული პირგასამტეხლო

კრიტერიუმი: დუშეთის მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის დარიცხული პირგასამტეხლო შემსრულებელმა უნდა დაფაროს ერთი თვის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უარს აცხადებს აღნიშნული თანხის გადახდაზე, გამგეობა ვალდებულია გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები დარიცხული პირგასამტეხლოს ამოსაღებად.

გარემოება: 2014-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმწოდებლებზე დარიცხულმა პირგასამტეხლომ ჯამში 60.7 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის, 2014 წელს - 14.3 ათასი, ხოლო 2015 წელს - 46.4 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტი პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, მიმწოდებელს წერილობით ატყობინებს გადასახდელი თანხის მოცულობის შესახებ და მიუთითებს ვადას, როდის უნდა მოხდეს აღნიშნული თანხის დაფარვა, რის შემდეგაც ერთი თვის ვადაში მიმწოდებელმა უნდა დაფაროს შესაბამისი ვალდებულება.

2014 წელს მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებზე დარიცხულმა და ამოუღებელმა ჯარიმებმა 7.1 ათასი (სულ მისაღები ჯარიმის 50%), ხოლო 2015 წელს - 41.5 ათასი ლარი (სულ მისაღები ჯარიმის 89%) შეადგინა. ბიუჯეტში მიუღებელ პირგასამტეხლოებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მიერ გატარებული ღონისძიებები შემოიფარგლება მხოლოდ ფირმისთვის არსებული დავალიანების შესახებ წერილობითი შეტყობინებით.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტი უახლოეს პერიოდში გაატარებს ყველა სათანადო სამართლებრივ ღონისძიებას აღნიშნული თანხების მისაღებად. აუდიტის პერიოდში ორ ფირმასთან მიმდინარეობს სასამართლო დავა დარიცხულ პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით.

სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა

კრიტერიუმი 1: სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირება არის პერმანენტული პროცესი, რომელიც ხორციელდება სამშენებლო ობიექტზე გასვლის დღიდან, მის ექსპლუატაციაში მიღებამდე. იგი ემსახურება სამუშაოთა შესრულების პროცესში დამკვეთის პერიოდულ ინფორმირებას იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება

მშენებლობა საპროექტო და ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებს, ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, ეკონომიკურ მაჩვენებლებს და სამუშაოთა წარმოების გრაფიკს.

გარემოება: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტს ყველა სამშენებლო სამუშაოზე შესყიდული აქვს შესაბამისი ტექნიკური ზედამხედველობა, რაშიც ჯამში გადახდილია 71.0 ათასი ლარი. ზედამხედველი ფირმების საქმიანობის შესწავლისას გამოვლინდა, რომ არც ერთ შესწავლილ შემთხვევაში ზედამხედველის წერილები სრულყოფილად არ ასახავს მშენებლობის მიმდინარეობის პროცესს, ამასთან წერილები წარმოდგენილია ვადების დარღვევით.

2014-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტს ი/მ ზაზა გვიმრაძესთან ზედამხედველობის სამუშაოებზე გაფორმებული აქვს 5 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 10.4 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელი ზედამხედველობას უწევს 1 647.3 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებს. არც ერთ შემთხვევაში მიმწოდებელს მუნიციპალიტეტისთვის წარმოდგენილი არ აქვს შუალედური ინფორმაცია პროექტების მიმდინარეობის შესახებ. მისი განმარტებით, იგი არ წარუდგენდა მუნიციპალიტეტს წერილობით ინფორმაციას მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, მიუხედავად გამგეობის წარმომადგენლების მრავალგზის მოთხოვნისა. ზედამხედველი არც ერთი ხელშეკრულების ფარგლებში არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, თუმცა გამგეობამ ყველა ხელშეკრულების ფარგლებში მას სრულად აუნაზღაურა ზედამხედველობის ღირებულება, ჯამში 10.4 ათასი ლარი.

კრიტერიუმი 2: ზედამხედველის მიერ წარმოდგენილ წერილში ასახული ინფორმაცია საჭიროებს სათანადო ანალიზსა და რეაგირებას გამგეობის მხრიდან.

გარემოება: 2015 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ანანურის ახალ დასახლებაში წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, რომლის ზედამხედველობაზეც ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „კვანძს“. 2015 წლის 21 ოქტომბერსა და 3 ნოემბერს ზედამხედველმა გამგეობას მიმართა წერილობით, სადაც ატყობინებდა, რომ ვერ ახორციელებდა სამუშაოების ზედამხედველობას, რადგან ტენდერი იყო შერჩევა-შეფასების ეტაპზე. შესაბამისად, გამგეობა ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ზედამხედველი სათანადოდ ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მიუხედავად ამისა, შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

კრიტერიუმი 3: ზედამხედველობის სამუშაოების ობიექტურად და მიუკერძოებლად განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანია მომსახურების შესყიდვისას მუნიციპალიტეტმა თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები.

გარემოება: 2015 წელს ყოფილი მუსიკალური სკოლის რეკონსტრუქციის დამატებით სამუშაოებზე ზედამხედველობას ახორციელებდა მოქმედი ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის კუთვნილი შპს, რომელსაც გამარტივებული შესყიდვის გზით გაუფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 0.8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა ზედამხედველობის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტმა უარი განაცხადა მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურებაზე.

საპროექტო სამუშაოებისა და მათი ექსპერტიზის შესყიდვა

აღწერა: არსებული პრაქტიკის მიხედვით, გამგეობა სამშენებლო სამუშაოების განხორციელებამდე ახდენს შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვას. 2014-2015 წლებში სამშენებლო სამუშაოების პროექტ-ხარჯთაღრიცხვაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში გადახდილია 514.2 ათასი ლარი. პროექტებში

ნებისმიერი უზუსტობის გამოვლენის ან უხარისხო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენის თავიდან აცილების მიზნით, გამგეობა მიმწოდებლებისგან ითხოვს, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან ახლდეს შესაბამისი დადებითი ექსპერტიზის დასკვნა. საპროექტო ფირმასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, პროექტის ავტორი დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს ორგანიზაციას, რომელიც განახორციელებს მის მიერ შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზას.

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით, მშენებლობის პროექტის ექსპერტიზის ჩატარების მიზანია განსახილველად წარმოდგენილ პროექტებში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისობის დადგენა საქართველოს კანონმდებლობასთან, სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებთან, აგრეთვე დოკუმენტაციის მომზადების ხარისხის გაუმჯობესება, ნებისმიერი მოსალოდნელი შეცდომის ან უზუსტობის თავიდან აცილება. მშენებლობის პროექტის ექსპერტიზა ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დამოუკიდებელი პროცესი, სრულიად თავისუფალი დაინტერესებულ პირთა ან ორგანიზაციათა რაიმე ზეგავლენისგან, დოკუმენტაცია შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნეს ყოველმხრივ, შემოწმდეს, რამდენად შეესაბამება დოკუმენტაციის შინაარსი და შემადგენლობა დამკვეთის მიერ საპროექტო სამუშაოთა შესასრულებლად გაცემულ დავალებას.

გარემოება: დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2014-2015 წლებში შეძენილი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ შესყიდული პროექტები ხშირ შემთხვევაში არსებითად იცვლება მშენებლობის პროცესში. ჯამში, 2014-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული 11 181.7 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოდან, მშენებლობის პროცესში დაკორექტირდა 5 768.9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო.

აღნიშნული გარემოების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი შესაძლებელია ის ფაქტი იყოს, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას არ უტარდება სათანადო ექსპერტიზა. პროექტის ავტორი თვითონ ირჩევს ექსპერტს, რის შედეგადაც ხშირ შემთხვევაში პროექტის შემსრულებელი და საექსპერტო ფირმა დაკავშირებული მხარეებია. 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენაში ჯამში გადახდილია 514.2 ათასი ლარი. აქედან, 255.9 ათასი ლარის ღირებულების ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა ჩაატარა საპროექტო ფირმასთან დაკავშირებულმა მხარემ. კერძოდ, შპს „საუკის 2006 -ის“ შედგენილი 24 პროექტიდან ღირებულებით 135.0 ათასი ლარი, ყველას ექსპერტიზა ჩაუტარა შპს „ქალაქ ფოთის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზამ“. ორივე ფირმას ჰყავს საერთო დამფუძნებელი. ასევე, შპს „არქიტექტორს“, ი/მ გელა წოწკოლაურს და ი/მ თამარ ფალავანდიშვილს განხორციელებული აქვთ ერთმანეთის მიერ შედგენილი პროექტების ექსპერტიზები. შპს „არქიტექტორის“ დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ი/მ-ების მიერ შედგენილ ყველა პროექტში თვითონ აქვს მონაწილეობა მიღებული. ჯამში მიმწოდებლებს განხორციელებული აქვთ ერთმანეთის შედგენილი 120.9 ათასი ლარის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა. აღსანიშნავია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას არ გააჩნდა სათანადო ქმედითი მექანიზმები, რომლის გამოყენებითაც ის დაადგენდა შპს „არქიტექტორს“, ი/მ „გელა წოწკოლაურსა“ და ი/მ „თამარ ფალავანდიშვილს“ შორის არსებულ ურთიერთ კავშირს.

სამშენებლო სამუშაოების ექსპერტიზა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მშენებლობის ექსპერტიზის მიზანია განსაზღვროს: შენობა-ნაგებობა რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის, სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების

მოთხოვნებს. ექსპერტიზა ასევე განსაზღვრავს მიღებული სამშენებლო გადაწყვეტილებები რამდენად შეესაბამება არსებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მშენებლობის ექსპერტიზის მიუკერძოებელ და ობიექტურ განხორციელებას, დასახული მიზნის მისაღწევად.

გარემოება 1: 2014-2015 წლებში იოსელიანისა და რაზიკაშვილის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელებულიყო ორივე მხარის უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მას შემდეგ, რაც მიმწოდებელი წარმოადგენს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას შესრულებული სამუშაოს ღირებულებისა და ასფალტბეტონის საფარის ლაბორატორიული გამოკვლევის შესახებ. მიმწოდებელმა სამხარაულის დასკვნა წარმოადგინა მხოლოდ შესრულებული სამუშაოების ფიზიკურ მოცულობებზე, ხოლო ასფალტის საფარის ლაბორატორიული შემოწმება განახორციელა შპს - „საინჟინრო ჯგუფი და ხარისხი საქართველოში“, რომელიც ჩაიბარა მიმღებმა კომისიამ, რითაც დაირღვა ხელშეკრულების პირობები.

გარემოება 2: შპს „სოტრს“ სამი ხელშეკრულების ფარგლებში¹⁸, ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, უნდა წარმოედგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რაც მიმწოდებელს არ განუხორციელებია. ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში შემსრულებელს წარმოდგენილ ფორმა №2-ებზე უნდა დაკავებოდა სამუშაოების ღირებულების 10% მანამ, სანამ არ უზრუნველყოფდა შესაბამისი მომსახურების სრულად და ხარისხიანად მიწოდებას. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელს შესრულებულ სამუშაოებზე არ წარმოუდგენია ექსპერტიზის დასკვნები, მუნიციპალიტეტმა მას სრულად აუნაზღაურა წარმოდგენილი ფორმა №2-ების ღირებულება. ჯამში, სამივე ხელშეკრულების ფარგლებში გამგეობამ შესაბამისი ექსპერტიზის გარეშე ჩაიბარა და აანაზღაურა 236.7 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო, რაზედაც დასკვნის წარმოდგენამდე უნდა დაეკავებინა 23.7 ათასი ლარი.

დაუფინანსებელი პროექტები

კრიტერიუმი: სამშენებლო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისას, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის ხელთ არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით განისაზღვროს, როდის გეგმავს გამგეობა შესყიდული პროექტის გამოყენებას.

გარემოება: 2014-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტს 62 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული აქვს 514.2 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. აღნიშნული პროექტებიდან 2014 წელს არ დაფინანსდა 6 სამუშაო, რომლის პროექტ-ხარჯთაღრიცხვაში გადახდილია 4.1 ათასი ლარი, ხოლო 2015 წელს - 81 სამუშაო, რომლის საპროექტო დოკუმენტაციაში გადახდილია 142.3 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს დაუფინანსებელი პროექტების ნაწილზე, ღირებულებით 104.5 ათასი ლარი, მოთხოვნა გაგზავნილია რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, თუმცა აუდიტის პერიოდში სამინისტროდან არ არის მიღებული თანხმობა აღნიშნული პროექტების დაფინანსებაზე.

¹⁸ N631, 628, 629.

პროექტები, რომლითაც ვერ სარგებლობს მოსახლეობა

კრიტერიუმი: სამშენებლო სამუშაოების, საქონლის ან მომსახურების შესყიდვის დაგეგმვისას, მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები: პროექტის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს მოსახლეობის უმრავლესობაზე, შესყიდული სამუშაო, საქონელი ან მომსახურება მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალური, ყოფითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ასევე წინასწარ უნდა განისაზღვროს ყველა ის ფაქტორი რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს პროექტის ფარგლებში დასახული მიზნის მიღწევას.

გარემოება 1: 2014 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტმა მოახდინა ე.წ. „ცხოველთა ბაზრის“ რეაბილიტაციის სამუშაოები და ჯამში გადაიხადა 15.9 ათასი ლარი. ობიექტის ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ არ ხდებოდა ტერიტორიის დანიშნულებით გამოყენება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით 2016 წლიდან ტერიტორია გადაეცა შპს „დუშეთის აგრარულ ბაზარს“, რომელიც მოსახლეობის საჭიროების გათვალისწინებით იყენებს ბაზრის ტერიტორიას. ასევე აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მიხედვით ცხოველთა ბაზარი უნდა შემოღობილიყო უჟანგავი ფოლადის ბადით, ხოლო ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პირობა მიმწოდებელს არ აქვს შესრულებული.

გარემოება 2: 2015 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა დუშეთში საპირფარეოს მშენებლობის სამუშაოები და ჯამურად გადაიხადა 17.8 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ნაგებობა არ ფუნქციონირებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დასრულებული მშენებლობა აღმოჩნდა სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე, რაზეც დაიწყო შესაბამისი პროცედურები მიწის გადმოცემასთან დაკავშირებით. მიწის რეგისტრაციის დასრულებამდე ვერ მოხერხდა მისი წყლითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით აღნიშნული საკითხების სამართლებრივად დარეგულირება მოხერხდა 2016 წლიდან, შედეგად ამ პერიოდიდან ობიექტი შეუფერხებლად ფუნქციონირებს.

დამატებული ღირებულების გადასახადის ანაზღაურება შესყიდვების პროცესში

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტს უფლება აქვს ტენდერი გამოაცხადოს როგორც დღგ-ის ჩათვლით ისე მის გარეშე. დღგ-ის გარეშე ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების დადებისას შესყიდვის ობიექტის ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის გადასახადის გადამხდელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ დუშეთის მუნიციპალიტეტი ტენდერებს გამოაცხადებდა დღგ-ის გარეშე მუნიციპალიტეტი მოახდენდა საბიუჯეტო სახსრების უფრო რაციონალურ ხარჯვას.

გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ 2014-2015 წლებში ტენდერის/გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ცხადებოდა და ხელშეკრულება ფორმდებოდა დღგ-ის გათვალისწინებით. აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მიმწოდებლების მიერ მუნიციპალიტეტისათვის წარმოდგენილი დღგ-ის გადამხდელის ცნობები. შედეგად დადგინდა, რომ 59 შემთხვევაში, 59.6 ათასი ლარი დღგ-ის სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურებულია ისეთ მიმწოდებლებისთვის, რომლებიც არ არიან აღნიშნული გადასახადის გადამხდელები.

საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად¹⁹, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

გარემოება: დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, საკრებულოს წევრებზე, რომლებიც არ იღებენ ხელფასს, დამტკიცებულია საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი. 2014-2015 წლებში საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე თანხები გაიცემოდა საკრებულოს სხდომებში, ფრაქციებსა და კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისთვის. საკრებულოს არაანაზღაურებად დეპუტატებზე ხარჯების ანაზღაურების მიზნით 2014-2015 წლებში სულ გაცემულია 128.7 ათასი ლარი, მათ შორის, 2014 წელს - 48.9 ათასი, ხოლო 2015 წელს - 79.8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ 2014-2015 წლებში საკრებულოს ყველა არაანაზღაურებად დეპუტატს დამატებით 32.0 ათასი ლარი აქვს მიღებული სადღესასწაულო დღეებში, დახმარების სახით.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება უნდა მოხდეს შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე. 2014-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში საკრებულოს დეპუტატებზე ხარჯები ანაზღაურებულია ისე, რომ არც ერთ შემთხვევაში მათ არ წარმოუდგენიათ ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებულ თანხებზე დაუკავდათ საშემოსავლო გადასახადი ჯამში 26.8 ათასი ლარი.

განთავისუფლებულ თანამშრომლებზე გადახდილი თანხები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით, მოხელე დისციპლინარული გადაცდომის გამო შესაძლებელია სამსახურიდან განთავისუფლდეს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის საფუძველზე, დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში, თუ მის მიმართ ერთხელ უკვე მოქმედებდა დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ფორმა, ასევე პირის სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზი შესაძლებელია იყოს დაკისრებული მოვალეობების უხეშად დარღვევა. დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, პირის თანამდებობიდან განთავისუფლების დროს აღნიშნული მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ირღვევა მოხელის კანონით გარანტირებული უფლებები. მნიშვნელოვანია მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლების დროს გამგეობამ იხელმძღვანელოს კანონმდებლობით განსაზღვრული კრიტერიუმებით, რათა თავიდან აიცილოს სუბიექტური გადაწყვეტილებების შედეგად თანამშრომლების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა. მოხელის თანამდებობიდან შესაბამისი დასაბუთების გარეშე განთავისუფლება, შესაძლებელია ასევე მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი მომტანი იყოს მუნიციპალიტეტისთვის.

გარემოება: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი თანამდებობებიდან გამგებლის ბრძანებით განთავისუფლდა 18 დასაქმებული. აღნიშნული პირებიდან, 3-მა სასამართლოში გაასაჩივრა გამგებლის გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომლის მიხედვითაც ისინი თანამდებობებიდან გაათავისუფლეს დისციპლინარული გადაცდომის მოტივით. სასამართლომ აღნიშნული პირების დაკავებული თანამდებობებიდან განთავისუფლება უკანონოდ ცნო და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაავალა

¹⁹ მუხლი 41.

მოსარჩელე პირებისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან, მათი სამსახურში აღდგენის დღემდე. მთლიანობაში განთავისუფლებული პირების განაცდურისა და კომპენსაციის სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურებულია 69.7 ათასი ლარი.

სოციალური დახმარება

კრიტერიუმი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას უფინანსდებათ სამედიცინო მომსახურების ისეთი ხარჯები, რომლებიც არ არის დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამედიცინო მომსახურების ხარჯები უფინანსდებათ შემდეგ პირებს: ონკოლოგიურ ავადმყოფებს, მარტოხელა ან მრავალშვილიან დედებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახის წევრებს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, აგრეთვე ოჯახებს, რომელთა ყველა წევრი უმუშევარია და მარტოხელა ან 80 წელს გადაცილებულ მოხუცებს.

გარემოება: მუნიციპალიტეტში გაცემული სამკურნალო თანხების შესწავლისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც თანამშრომლებზე სხვადასხვა სამკურნალო თანხები დახარჯული, ჯამში 2.8 ათასი ლარი. მათ შორის, ყოფილი საფინანსო სამსახურის უფროსის და ახლა უკვე გამგებლის მრჩეველისთვის დაფინანსებულია ანალიზები და ბალნეოლოგიური თერაპია (გოგირდის აბანოები და სამკურნალო ტალახი), სოციალური სამსახურის თანამშრომელს და მის შვილს, წონის რეგულირებასთან დაკავშირებული ანალიზები, საკრებულოს მთავარ სპეციალისტს - ცხვირის მკიდის გასწორების ოპერაცია და სხვ. აღსანიშნავია, რომ გამგეობის ის თანამშრომლები, რომლებსაც დაუფინანსდათ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, ვერ აკმაყოფილებენ დადგენილებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“²⁰ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც.

გარემოება: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 10 დეკემბრის №1318 ბრძანების მიხედვით, ინვენტარიზაცია ჩატარდა 2014 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით გამგეობის საკუთრებაში არსებულ უძრავ-მოძრავ ქონებას. ინვენტარიზაციის შედეგად მთლიანობაში გამოვლინდა 21.9 ათასი ლარის დანაკლისი, მათ შორის, 18.4 ათასი ლარი შემოსავლების სამსახურის მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემული სხვადასხვა დასახელების ფასეულობებია. ასევე გამოვლენილია 13.8 ათასი ლარის ზედმეტობა და ჩამოსაწერი, ამორტიზებული და შემდგომი მოხმარებისთვის გამოუსადეგარი 8.1 ათასი ლარის მცირეფასიანი ფასეულობები. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობამ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების მიზნით.

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

შიდა აუდიტის მიერ შესრულებული სამუშაოები

კრიტერიუმი 1: „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნა სავალდებულოა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შიდა აუდიტის დაგეგმვა ხდება რისკის შეფასების საფუძველზე. მისი შედეგები აისახება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმაში, რომლის საფუძველზეც შემუშავდება შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის მიხედვით, წლიურ გეგმაში აისახება რისკების შეფასების შედეგები და აუდიტის დაგეგმილი პროცედურები. გარდა აღნიშნულისა, წლის განმავლობაში დაგეგმილი თითოეული აუდიტისათვის შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შეიმუშავებს და ამტკიცებს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალურ გეგმას.

გარემოება: 2014-2015 წლებში გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური განისაზღვრა სამი სამტატო ერთეულით. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს მუნიციპალიტეტს არ დაუმტკიცებია შიდა აუდიტის გეგმა და არ განუხორციელებია არც ერთი შემოწმება. მუნიციპალიტეტს ასევე 2014-2015 წლებში არ შეუდგენია მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნილი შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა.

შიდა აუდიტის სამსახურმა წლიური გეგმა შეადგინა 2015 წელს. წლიურ გეგმაში არ არის ასახული რისკის შეფასების პროცედურების შედეგები, ასევე აუდიტის განხორციელების სავარაუდო ვადები და დაგეგმილი პროცედურები. დუშეთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის გეგმა მოიცავს მხოლოდ იმ ორგანიზაციების ან სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალს, რომელთა შემოწმებასაც გეგმავს სამსახური. შიდა აუდიტის სამსახურმა ასევე აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა თითოეული ჩატარებული და დაგეგმილი აუდიტისთვის დამტკიცებული ინდივიდუალური გეგმა.

2015 წელს შიდა აუდიტის სამსახურს შემოწმებული აქვს გამგეობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები და სოციალური სამსახურის მიერ განხორციელებული პროექტები. მთლიანობაში სამსახურმა დაამტკიცა 4 ანგარიში, რაც გეგმის 31%-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს არ განუხორციელებია რისკის შეფასების სათანადო პროცედურები, რომლის მიხედვითაც ის დაგეგმავდა წლის განმავლობაში ჩასატარებელ აუდიტებს. სამსახური არ ახორციელებდა წინასწარი შესწავლის პროცედურებს, რის საფუძველზეც უნდა მიმხდარიყო გამგეობის საქმიანობაში ძირითადი რისკების იდენტიფიცირება. შედეგად, დუშეთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა ვერ გამოავლინა ის არსებითი უზუსტობები, რომლებიც აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში.

კრიტერიუმი 2: მოქმედი კანონმდებლობით შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ამზადებს წლიურ ანგარიშს, რომელშიც აისახება ინფორმაცია განხორციელებული აუდიტების შესახებ, ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები შიდა კონტროლის სისტემის შესახებ, შიდა აუდიტის წლიური გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები, წინადადებები შიდა აუდიტის განვითარებასთან დაკავშირებით და სხვ.

გარემოება: 2014-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუდგენია მისი საქმიანობის წლიური ანგარიში. შესაბამისად, ორგანიზაციის ხელმძღვანელობას არ წარედგინა ინფორმაცია შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ. შედეგად, დარღვეულია „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.


აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი:

მიხეილ ჩიქოვანი




ხელმოწერა

21.11.2016

თარიღი

აუდიტორი:

ირაკლი გოგოლიძე




ხელმოწერა

21.11.2016

თარიღი

აუდიტორი

ლალი ამბროლაძე



ხელმოწერა

21.11.2016

თარიღი

აუდიტორი

სოფიო ბელთაძე




ხელმოწერა

21.11.2016

თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი

შალვა ბუცხრიკიძე



ხელმოწერა

21.11.2016

თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი

ანნა ზოსიაშვილი



ხელმოწერა

21.11.2016

თარიღი